171
1944

უფასო

საქართველოს სსრ განათლების ხალხთა კომისარიატის ბრძანებათა და განკარგულებათა

კრებული

წელიწადი მეშვიდე

№ 3 | Сборник приказов и распоряжений НКПроса Груз. ССР | 1944 წ.

F769

შინაარსი

1. წესები მოსწავლეთათვის 3
2. ბრძანება მოსწავლეთა წესების შესახებ 5
3. მითითებანი მოსწავლეთა დასჯისა და წახალისების ღონისძიებათა შესახებ 20

თბილისი—1944 წ.

დამტკიცებულია საქართველოს
სსრ სახკომსაბჭოს მიერ
1943 წლის 1 ნოემბერს.

წესები მოსწავლეთათვის

ყოველი მოსწავლე ვალდებულია:

1. გულმოდგინედ და თავგამოდებით ეუფლებოდეს ცოდნას, რომ გახდეს განათლებული და კულტურული მოქალაქე, მოუტანოს ხალხს რაც შეიძლება მეტი სარგებლობა და იყოს სამშობლოს ღირსეული შვილი.

2. უყოყმანოდ დაემორჩილოს სკოლის დირექტორისა და მასწავლებლის განკარგულებას, მოკრძალებით და პატივისცემით მოეპყრას დირექტორს, მასწავლებელს და სკოლის სხვა მუშაკებს, შეხვედრისას მიესალმოს მათ თავაზიანად, ამასთან მოსწავლე ვაჟმა მოიხადოს ქუდი.

3. სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს მიმართოს სიტყვებით: „პატივცემულო დირექტორო", „პატივცემულო მასწავლებელო", ხოლო რუსულ ენაზე — სახელისა და მამის სახელის წოდებით.

სკოლის მუშაკებს და ყველა უფროსს ელაპარაკოს თქვენობით.

4. იყოს სუფთად, წესიერად ჩაცმული და თმა დავარცხნილი, მოსწავლე ქალს თმა ჰქონდეს დაწნული და ბანტით შეკრული ან შეკრეჭილი.

5. დაუგვიანებლივ ცხადდებოდეს სკოლაში, თან ჰქონდეს საჭირო სახელმძღვანელოები და სასწავლო ნივთები, ესწრებოდეს ყველა გაკვეთილს.

6. ზარის დარეკვისთანავე შევიდეს კლასში და დაიკავოს თავისი ადგილი, გაკვეთილის დროს გამოვიდეს და შევიდეს კლასში მხოლოდ მასწავლებლის ნებართვით.

7. გაკვეთილის დროს იჯდეს სწორად, ახსოვდეს, რომ მერხზე იდაყვით დაყრდნობა ან გადაწოლა დაუშვებელია, ყურადღებით უს-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბენდეს მასწავლებელს და მოსწავლეთა პასუხს, არ ბაასობდეს და არ იყოს სხვა საქმით გართული.

8. მასწავლებლის მიერ დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემისას, ან ისეთ შემთხვევაში, როცა სურს თვით შეეკითხოს მასწავლებელს, — ასწიოს მარჯვენა ხელი, პასუხის გაცემის ან შეკითხვის მიცემის დროს სწორად იდგეს და დაჯდეს მხოლოდ მასწავლებლის ნებართვით.

9. ადგეს კლასში სკოლის დირექტორის, მასწავლებლის თუ სხვა უფროსის შესვლისას და გამოსვლისას.

10. ზუსტად ჩაიწეროს დღიურში, ან განსაკუთრებულ რვეულში საშინაო დავალება და დროულად შეასრულოს იგი.

11. გაუგონოს მშობლებს, დაეხმაროს მათ სარჯახო საქმეებში, მზრუნველობით მოეპყრას თავის უმცროს დებსა და ძმებს.

12. განსაკუთრებული გულისხმიერებითა და თავაზიანობით მოეპყრას მოხუცებს, სუსტებს, ავადმყოფებს, პატარა ბავშვებს, დაუთმოს მათ გზა, ადგილი, გაუწიოს ყველა შესაძლო დახმარება.

13. იყოს მართალი, გულწრფელი და თავმდაბალი, ზრდილობიანად იქცეოდეს ოჯახში, სკოლაში, ქუჩაში თუ საზოგადოებრივ ადგილებში.

14. სასწავლო მეცადინეობისგან თავისუფალ დროს იკითხოს წიგნები, აქტიური მონაწილეობა მიიღოს სკოლის მასობრივ-საზოგადოებრივ მუშაობაში.

15. დაიცვას სისუფთავე საკლასო ოთახში, დერეფანში, ოჯახში, ქუჩაში და სხვა ადგილებში, წესრიგში იქონიოს თავისი სამუშაო ადგილი სკოლასა და ოჯახში.

16. გაუფრთხილდეს სკოლის ქონებას, საკუთარსა და ამხანაგების ნივთებს, მოუაროს ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, ლოგინს.

17. უსაქმოდ არ იმყოფებოდეს ქუჩაში, იცოდეს და ზუსტად დაიცვას ქუჩაში მოძრაობის წესები.

18. არ იხმაროს უწმაწური სიტყვები და უხეში გამოთქმები, არ მოსწიოს თამბაქო, არ ითამაშოს ფულზე და ნივთზე.

19. თან იქონიოს მოსწავლის ბილეთი, გაუფრთხილდეს მას, არავის გადასცეს და მოთხოვნისთანავე წარუდგინოს იგი სკოლის დირექტორს, მასწავლებელს, ან ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენლებს.

20. გაუფრთხილდეს და პატივი სცეს თავისი სკოლის და ეკლესიის ღირსებას.

ამ წესების დარღვევისათვის მოსწავლე ისჯება და შეიძლება სკოლიდანაც გაირიცხოს.

ბრძანება

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1944 წლის 17 მარტი.

მოსწავლეთა წესების შესახებ

აღვნიშნავ, რომ საქართველოს სსრ დაწყებითს, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებში მოსწავლეთა წესების დანერგვის საქმეში მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოებული.

ქალ. ქალ. თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, გორის, ფოთის, ზესტაფონის, ხაშურის, თელავის, ცხაკაიას, გურჯაანის, მახარაძის, ლანჩხუთის, სილნაღის, ჭიათურისა და სხვა რაიონების რიგ სკოლაში სათანადოდ შეაფასეს მოზარდი თაობის აღზრდის საქმისათვის მთავრობის მიერ დამტკიცებული მოსწავლეთა წესების დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა, დარაზმეს მასწავლებლობა სკოლის ყოველდღიურ მუშაობაში წესების მტკიცედ დასანერგად და ამ წესების ჩვევად გადაქცევის მიზნით ღონისძიებებს ატარებენ:

ა) განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სკოლის რეჟიმის მტკიცედ დაცვას და ზუსტად ახორციელებენ სკოლის შინაგანაწესს.

ბ) სისტემატურად აძლევენ მოსწავლეებს განმარტებას წესების მნიშვნელობის შესახებ და იმუშავებენ მათში წესების თითოეული მუხლის ურყევად შესრულების აუცილებლობის შეგნებას.

გ) წესების მტკიცე ჩვევად გადაქცევის მიზნით, საჭიროების მიხედვით, ავარჯიშებენ მოსწავლეებს წესების შესრულებაში და პირად მაგალითზე უჩვენებენ სიზუსტის, დისციპლინიანობის, ორგანიზებული შრომისა და სიფაქიზის საუკეთესო ნიმუშებს.

დ) მჭიდრო კავშირი აქვთ დამყარებული ოჯახებთან, სისტემატურად

ადევნებენ თვალყურს მოსწავლეთა ქცევას სკოლის გარეთ, აწარმოებენ მშობლებთან პედაგოგიურ მუშაობას და მოსწავლის ყოფაქცევაში შემჩნეული უარყოფითი მოვლენების აღსაკვეთად აქტიურად იყენებენ მშობელთა საზოგადოებრიობას.

ე) მოსწავლეთა წესების ზუსტად გატარებისა და დისციპლინის მტკიცედ დანერგვის ამოცანათა გასახორციელებლად რაზმავენ ყველა მასწავლებელს, ყურადღების გარეშე არ ტოვებენ არც ერთ დეტალს წესების შესრულების საქმეში და იცავენ ერთიანობას მასწავლებლის მხრით მოსწავლეებისადმი წაყენებულ მოთხოვნებში.

ვ) განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მოსწავლეთა ხასიათის ჩამოყალიბებაში კეთილშობილი მიდრეკილების გაღვივებას, რისთვისაც ფართოდ იყენებენ დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გმირული ბრძოლის, ჩვენი კლასიკური და თანამედროვე ლიტერატურის უმდიდრეს მასალებს.

ზ) მრავალმხრივსა და შინაარსიან მუშაობას ატარებენ მოსწავლეებთან კლასგარეშეაც, ეხმარებიან სკოლის გარეშე დაწესებულებებს, კარგად აწესრიგებენ ბავშვებზე ზედამხედველობას მეცადინეობისაგან თავისუფალ დროს და ამ მუშაობას იყენებენ მოსწავლეებში დადებითი ინტერესების გაღვივებისა და სასარგებლო ცოდნისა და ჩვევების გამომუშავებისათვის.

თ) აწყობენ მოწინავე პედაგოგთა გამოცდილების გაზიარებას და ქმნიან მასწავლებლებში სტიმულს სწავლებისა და აღზრდის პრაქტიკაში შემოწმებული ფორმებისა და ხერხების დაუფლებისათვის.

წესების შეუსრულებლობა ამ სკოლების მასწავლებლებში იწვევს გულისტკივილს, გულწრფელ აღელვებას, რაც თავის მხრით, დიდ გავლენას ახდენს მოსწავლეებზე და მათში ზრდის მასწავლებლისადმი მოკრძალებასა და პატივისცემას და წესრიგისადმი, დისციპლინისადმი შეგნებულ დამოუკიდებლობას. ამის შედეგად უდისციპლინობის ყოველგვარი გამოვლინება, ერთის შეხედვით უბრალო და უმნიშვნელო, იმთავითვე პოულობს საჭირო გამოხმაურებას.

ასე, მაგალითად, ქ. თბილისის ვაჟთა მე-15 საშუალო სკოლაში დაქვეითებული იყო დისციპლინა, ხშირად ირღვეოდა სასკოლო რეჟიმი, მოსწავლეთა წესების გატარებისათვის სკოლის მიერ მიღებული ღონისძიების შედეგად მოსწავლეები გახდნენ უფრო ზრდილნი, თავაზიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და კულტურული; ამ სკოლაში მინიუმამდე იქნა დაყვანილი გაცდენებისა და დაგვიანების შემთხვევები.

ქ. თბილისის ქალთა 31-ე საშუალო და ქ. გურჯაანის საშუალო სკოლებში სრულ წესრიგშია მოყვანილი სასკოლო ოთახები, დერეფნები და კაბინეტები, ყველგანაა დაცული სისუფთავე, მოსწავლეები კარგად უვლიან სასკოლო ქონებას, სუფთად და ფაქიზად ჩაცმული ცხადდებიან სკოლაში, მორიდებითა და ზრდილობიანად მიმართავენ უფროსებსა და მასწავლებლებს და საშინაო დავალებებს უკეთ ასრულებენ.

ქ. თბილისის ვაჟთა მე-17 საშუალო სკოლის მოსწავლეებს შეგნებული აქვთ თავიანთი ვალდებულებანი, მასწავლებლის მეთვალყურეობის გარეშეც კარგად იცავენ წესრიგს სკოლაში და ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს. ამ სკოლის მეოთხე კლასში მასწავლებლის ავადმყოფობის გამო დირექტორმა მისცა დავალება ბავშვებს შემცვლელი მასწავლებლის მოსვლამდე წყნარად ყოფილიყვნენ და საშინაო დავალება გაემეორებინათ, ისინიც ისხდნენ და მშვიდად მეცადინეობდნენ, მორიგე მოსწავლე მეთვალყურეობას უწევდა მოსწავლეთა ქცევას და წესის დარღვევის შემთხვევაში იძლეოდა შენიშვნას, რასაც ბავშვები უყოყმანოდ ემორჩილებოდნენ.

ქ. ქუთაისის ვაჟთა II საშუალო სკოლაში წესების შემოღებამდე მოსწავლეები იგვიანებდნენ გაკვეთილებზე, ხშირად ჰქონდა ადგილი გაკვეთილებიდან გაპარვას, მასწავლებლების დავალებათა შეუსრულებლობას, ეუჩაში უსაქმოდ ხეტიალს. ამჟამად სკოლაში მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, მოსწავლეები თვითონ კიცხავენ ასეთ საქციელს. და გულწრფელად ცდილობენ წესები მტკიცედ შეასრულონ. ქ. ფოთის II საშუალო სკოლის მოსწავლეთა ერთი ნაწილი სისტემატურად არღვევდა სასკოლო რეჟიმს, დასცინოდა/და აბუჩად იგდებდა სკოლის დარაჯებს და დამლაგებლებს, ამტვრევდა მინებს, სკოლაში დადიოდა უსუფთაოდ, უწიგნოდ. სკოლის ცხოვრებაში წესების დანერგვის შედეგად, ამ მოსწავლეებში მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა. ისინი თავაზიანად ეპყრობიან უფროსებს, არიან სუფთად ჩაცმული, დაუგვიანებლივ ცხადდებიან სკოლაში, არ აცდენენ გაკვეთილებს და უკეთესად სწავლობენ. გორის Iდა II საშუალო სკოლებში გასულ წელს მოსწავლეთა ერთი ნაწილი უხეშად ეპყრობოდა ამხანაგებს, გაკვეთილებს ცუდად ამზადებდა, ზოგი მათგანი თამბაქოსაც ეწეოდა. ასევე, ჩხარის პირველი საშუა

ბო სკოლის მოსწავლეები ხელს უშლიდნენ, მასწავლებლებს გაკვეთილებზე, მედიდურობდნენ, უწმაწური სიტყვებით მიმართავდნენ ამხანაგებს; იყო შემთხვევა, რომ ზოგიერთი მათგანი ლოთობდა კიდეც. იმ გარემოების გამო, რომ წესების გატარების საქმეს ამ სკოლებში პედაგოგთა კოლექტივებმა მტკიცედ მოჰკიდეს ხელი, მდგომარეობა საგრძნობლად გუამჯობესდა, მოსწავლენი ლავაზიანად ეპყრობიან უფროსებს, გაკვეთილებზე არ იგვიანებენ და უკეთაც სწავლობენ.

ამ წარმატებათა მიუხედავად, მოსწავლეთა შორის წესების დანერგვის საქმეში რესპუბლიკის სკოლებში ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა.

ზოგიერთი განათლების განყოფილებისა და სკოლის მუშაკებმა მოსწავლეთა წესების მნიშვნელობა ვერ გაიგეს. მოზარდი თაობის ცხოვრებისა და ქცევის მოწესრიგების ამ დიდი მნიშვნელობის სახელმწიფოებრივ პროგრამაში მათ დაინახეს სკოლაში მანამდე არსებული შინაგანაწესის უბრალო გარემოება, ფორმალურად და ზერელედ ეკიდებიან მისი გატარების საქმეს და კმაყოფილდებიან მათი მხოლოდ კლასებში წაკითხვითა და კედლებზე გაკვრით.

ზოგიერთ სკოლაში ხშირად ირღვევა შინაგანაწესი, არაა მოვლილი სკოლის შენობა და კარ-მიდამო, უსუფთაოა საკლასო ოთახები, დერეფნები, სასკოლო დგამ-ავეჯი, სასწავლო მოწყობილობა; წესების მტკიცედ დანერგვისათვის ერთიანად არ არიან დარაზმულნი მასწავლებლები, მათ მიერ ამ მიმართულებით წარმოებული მუშაობა ეპიზოდურ, ზერელე, შემთხვევით და მხოლოდ სიტყვიერ ხასიათს ატარებს. ხშირ შემთხვევაში სკოლები კმაყოფილდებიან მშრალი ადმინისტრატიული ზემოქმედების ზომების მიღებით.

ზოგიერთ სკოლაში იმდენად შეეგუენ უდისციპლინობასა და უწესრიგობას, რომ მოსწავლეთა მიერ დისციპლინის უხეშად დარღვევა,— გაკვეთილზე დაგვიანება, გაკვეთილიდან გაპარვა, უსუფთაოდ მოსვლა, გაკვეთილზე ქუდით ჯდომა, უფროსებისა და ამხანაგებისადმი უხეში დამოკიდებულება და სხვა,— შეუმჩნეველი რჩებათ. ამ სკოლებში არ არსებობს სიმკაცრე მოთხოვნებში, არ არის მოსწავლეებში აღზრდილი სკოლის ღირსებისადმი პატივისცემა; ბევრს ლაპარაკობენ დისციპლინის შესახებ და ძალზე ცოტას აკეთებენ დისციპლინის განმტკიცებისათვის. ნაკლებ ყურადღებას აქცევენ სწავლების ხარისხის გაუ-

მჯობესებას, სათანადოდ არ ემზადებიან გაკვეთილებისათვის, არ ასრულებენ მებენ საშინაო დავალებების შესრულებას, არ ასწორებენ წერით ნამუშევრებს და ამით ხელს უწყობენ მოსწავლეებში მოვალეობისადმი უპასუხისგებლობა და უდარდელი განწყობილების შექმნას.

ასე, მაგალითად, ქ. თბილისის ვაჟთა V (დირექტორი ბადალიანი), ქალთა 23-ე(დირექტორი ლ. მელაძე), გორის IV (დირექტორი ძველაია), ზუგდიდის V (დირექტორი ქარჩავა), ჭალადიდის (დირექტორი ა. გვიჩია),გორის რ. სოფ. ხიდისთავის (დირექტორი მ. მუკნიაშვილი), ქ. ფოთის III (დირექტორი აბულაძე), ქ. ქუთაისის ვაჟთა I (დირექტორი გაჩეჩილაძე), ქ. ბათუმის ვაჟთა II (დირექტორი ალ. დარჩია) და სხვა საშუალო სკოლების მოსწავლეთა ერთი ნაწილი არ ასრულებს წესებს სწავლისა და მოსწავლეთა ვალდებულების შესახებ, არ იბრძვის იმისათვის, რომ გახდეს მცოდნე და კულტურული, ბეჯითი და შრომისუნარიანი, უპასუხისმგებლოდ ეკიდება მასწავლებლის მიერ მიცემული დავლებების შესრულების საქმეს, არ ამზადებს გაკვეთილებს, დაგვიანებით ცხადდება სკოლაში და თან არ მოაქვს წიგნი, მელანი და სხვა საჭირო სასწავლო ნივთები. ზუგდიდის V საშუალო სკოლაში მათემატიკის გაკვეთილზე (მასწ. ქარჩავა) მოსწავლეებს წერისათვის არ აღმოაჩნდათ საჭირო სასწავლო ნივთები — მელანი, კალმისტარი, რვეული, — მიუხედავად იმისა, რომ ისინი გაფრთხილებულნი იყვნენ, ამის გამო წერა ჩაიშალა. ასევე ჩაიშალა წერა ქ. თბილისის ქალთა 23-ე საშუალო სკოლის მე-10 კლასში ინგლისური ენის გაკვეთილზე, რადგან არც ერთ მოსწავლეს არ გააჩნდა საშელნე და კალმისტარი. ჭალადიდის საშუალო სკოლაში მოსწავლეთა დიდი ნაწილი საშინაო დავალებებს არ ასრულებს. 14 თებერვალს მე-4 კლასის 31 მოსწავლიდან გეოგრაფიაში არც ერთმა არ იცოდა გაკვეთილი. ასევე, გორის IV სკოლის მე-7 და მე-8 კლასის ბევრი მოსწავლე არ ამზადებს გაკვეთილებს. გარდა ამისა, დასახელებულ სკოლებში ადგილი აქვს გაკვეთილებზე ხმაურს, კარნახს, მერხზე გადაჯდომას, წამოძახილს — „მას", „მას"., ზეზე წამოხტომას, გაკვეთილიდან უნებართოდ გასვლისა და გაკვეთილიდან გაპარვის ხშირ შემთხვევებს.

თბილისის რ. სოფ. დიღმის (დირექტორი ტყაბლაძე), ყარაიას რ. სოფ. კესალინის (დირექტორი ა. ალიევი), მცხეთის რ. სოფ. წილკაანის (დირექტორი თოდაძე), გალავნის (დირექტორი კუპრიაშვილი), ბოლნისის

(დირექტორი ი. ჟვანია), კასპის რ. სოფ. სამთავისის არასრულ საშუალო (დირექტორი მცხვეთაძე) და სხვა სკოლებში არ ხორციელდება წესების მუხლები სისუფთავისა და ჰიგიენის დაცვის შესახებ. ამ სკოლების საკლასო ოთახები და დერეფნები დანაგვიანებულია და დატალახიანებული, ფანჯრები და კედლები დასვრილი და დამტვერილი. მოსწავლეები არ ზრუნავენ სასწავლო ნივთების სიუფთავეზე. ბევრი მათგანი თვითაც უსუფთაოა. ბოლნისისა, გალავნისა, დუშეთისა და სხვ. საშუალო სკოლებში მერხები და მაგიდები დასვრილ-დატალახიანებულია, მოსწავლეთა თვალსაჩინო ნაწილი სკოლაში ცხადდება თმა გაუკრეჭელი, ხელ-პირ დაუბანელი, ფოფონები უბანტოდ, თმა გაწეწილი. სოფ. გურჯაანის საშუალო სკოლის მე-9ა კლასში 19 მოსწავლე ქალიდან, 4 მარტს, 13 მოსწავლე ქალს თმა არ ჰქონდა დავარცხნილი და ბანტით შეკრული.

დუშეთის საშუალო (დირექტორი ე. მოსიაშვილი), ქ. ცხაკაიას II და III საშუალო (დირექტორები: ქუთათელაძე და კეშელავა), ზესტაფონის II და III საშუალო (დირექტორები: ს. ფოფოლაძე, ი. სამხარაძე), ქ. თბილისის ვაჟთა I (დირექტორი ბიბილეიშვილი), თელავის რ. სოფ. ახმეტის (დირექტორი ვ. ხავთასი), კასპის საშუალო (დირექტორი ხაფავა) და სხვა სკოლებში არ სრულდება წესები სკოლის ქონებისადმი ფრთხილი დამოკიდებულებისა და საკუთარი და ამხანაგების ნივთების მოვლის შესახებ; დუშეთის საშუალო სკოლის მოსწავლეები შეშას საკლასო ოთახებში აპობენ. დასახელებული სკოლების მოსწავლეთა ერთი ჯგუფი სისტემატურად ამტვრევს დაფას, მაგიდას, მერხებს, ხევს რუკებს, ჩარჩოს აცლის სურათებს, უდიერად ეპყრობა საკუთარ და ამხანაგების სასწავლო ნივთებს და დანით სჭრის მერხების ზედაპირს. ზესტაფონის II და III საშუალო სკოლების მოსწავლეთა უმრავლესობას არც ერთი ახალგამოცემული წიგნი არ აღმოაჩნდა წესიერად მოვლილი, ხოლო ზოგი წიგნი ისეა გაფუჭებული, რომ მისი გამოყენება შეუძლებელია. ქ. თბილისის პირველი საშუალო სკოლის უფროსი კლასების ოთხი მოსწავლე იქამდეც მივიდა, რომ სკოლის ამხანაგს ქუდი წაართვა და ბაზარზე გაჰყიდა.

წულუკიძის I საშუალო (დირექტორი გ. კვანტალიანი), კასპის რ. სოფ. მეტეხის (დირექტორი ხარებავა), ქ. თბილისის ვაჟთა 25-ე (დირექტორი ჯ. ჯორჯიკია). ქ. ქუთაისის ვაჟთა VIII (დირექტორი ბ. გვეტაძე),

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სხვა საშუალო სკოლების მოსწავლეთა ერთი ნაწილი არ ასრულებს წესებს ქუჩაში და საზოგადოებრივ ადგილებში მათი ქცევის შესახებ, ხშირად უსაქმოდ ხეტიალობს ქუჩებში, ეწევა თამბაქოს, უწმაწური სიტყვებით მიმართავს გამვლელ-გამომვლელთ, უდროო დროს დადის კინოებში, თეატრებში სექტაკლებზე და სხვა სანახაობებზე. წულუკიძის I საშუალო სკოლის მოსწავლეთა ერთი ჯგუფი არ დაუშვეს თეატრში სპექტაკლზე, მოსწავლეებმა შეურაცხყოფა მიაყენეს მეკარეს, ძალით დაამტვრიეს კარები და დარბაზში შეიჭრნენ. მოსწავლეების ასეთმა საქციელმა დამსწრეთა თვალში დასცა სკოლის ავტორიტეტი.

ქ. თბილისის ვაჟთა მე-20 (დირექტორი პ. ბლუაშვილი), ახალციხის III სომხური (დირექტორი სარაჯევი), ქ. თბილისის ვაჟთა V, წულუკიძის 1, თეთრი წყაროს რ. სოფ. დაღეთის (დირექტორი გ. სარქისიანი), ყარაიაზის საშუალო (დირექტორი—გაჯიევი), ჭიათურის რ. სოფ. მანდაეთის საშუალო (დირექტორი დოლონაძე), გორის რ. სოფ. ხიდისთავის არასრული საშუალო და სხვა სკოლების მოსწავლეები უხეშად არღვევენ წესებს მასწავლებლებისა, ხელმძღვანელებისა და უფროსებისადმი დამოკიდებულების შესახებ. ამ სკოლების მოსწავლეთა ერთი ჯგუფი მასწავლებლებს და უფროსებს არ მიმართავს თავაზიანად და მორიდებით. ხშირად არ ასრულებს დირექტორებისა და მასწავლებლების განკარგულებებს, უხეშად და მოურიდებლად ეპყრობა მათ. ქ. თბილისის ვაჟთა მე-20 საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლეებს რუსული ენის გაკვეთილებზე წიგნები ჰქონდათ გაშლილი. მასწავლებლის განკარგულებას წიგნების დახურვისა და შენახვის შესახებ არ დაემორჩილა რამდენიმე მოსწავლე და მასწავლებელს შეელაპარაკა. იმავე გაკვეთილზე დავა ატყდა იმის შესახებ, თუ მორიგე ვინ უნდა ყოფილიყო კლასში. მოსწავლეების მიმართ მასწავლებლის მოწოდებამ წესრიგისაკენ არ გასჭრა და დავამ რამდენიმე წუთი წაიღო. ქ. თბილისის ვაჟთა V საშუალო სკოლის მე-9 კლასის ერთი მოსწავლე დირექტორის განკარგულებით გაკვეთილზე არ უნდა შესულიყო კლასში, მასწავლებელმა ამ მოსწავლეს მოაგონა დირექტორის განკარგულება კლასიდან გასვლის შესახებ, ის არა მარტო არ დაემორჩილა მასწავლებელს, არამედ ფეხზედაც არ წამომდგარა. ახალციხის III სომხური საშუალო სკოლის მოსწავლეთა ერთმა ჯგუფმა უხეში სიტყვებით მიმართა მასწავლებელს, აურზაური ასტეხა მეცადინეობის დროს და გაკვეთილი ჩაშალა.

ყარაიაზის აზერბაიჯანული საშუალო სკოლის მეშვიდე კლასის ერთმა მოსწავლემ მასწავლებელს თავზე გადაახია სახელმძღვანელო იმისათვის, რომ მასწავლებელმა მას ორი დაუწერა; მანდაეთის საშუალო სკოლის ზოგი მოსწავლე ზედმეტ სახელებს არქმევს მოხუცებს, ქუჩაში მისდევენ და დასცინიან მათ.

არის ისეთი შემთვევებიც, რომ სკოლის დირექტორის უდარდელობისა და უპასუხისმგებლობის შედეგად სკოლის მუშაკებს წესების შესახებ მხოლოდ ზერელე, ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ. თბილისის რაიონის დ. ავჭალის ქართულ საშუალო სკოლის მე-7 და მე-8 კლასებში მოსწავლეთა წესების პროექტიც იყო გაკრული და დამტკიცებული წესებიც, ხოლო მცხეთის რაიონის სკოლების უმეტეს ნაწილში წესები კლასებში ისე მაღლაა გაკრული, რომ არა თუ ბავშვი, მასწავლებლებიც ვერ ახერხებენ მის წაკითხვას.

ზემოხსენებული სკოლების დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგეები დისციპლინის დარღვევისა და მოსწავლეების მხრივ მათზე დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობის ამ აღმაშფოთებელ ფაქტებს დამშვიდებით უყურებენ და კმაყოფილდებიან მასწავლებლების „ინფორმაციებით", არ უწევენ მათ ხელმძღვანელობასა და კონტროლს მუშაობაში, არ ამოწმებენ მოსწავლეების მიერ წესების პრაქტიკულად შეთვისების მიმდინარეობის საქმეს, არადამაკმაყოფილებელ მუშაობას ეწევიან მშობელთა შორის და არ ატარებენ კონკრეტულ ღონისძიებებს წესების დანერგვის საქმეში არსებულ ჩამორჩენათა გამოსასწორებლად.

მოსწავლეთა წესები წარმოადგენს უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დოკუმენტს. მისი ზუსტად გატარების გარეშე შეუძლებელია კულტურული, მცოდნე, შრომისმოყვარე, გამრჯე, ხალხისათვის თავდადებული და მისი ინტერესებისათვის შეგნებული მებრძოლის, ჩვენი ქვეყნის ღირსეული და სასახელო შვილების, მგზნებარე პატრიოტების აღზრდა.

ვთვლი, რომ სასკოლო ცხოვრებაში წესების დანერგვა და მოსწავლეთათვის მათი ჩვევად გადაქცევა შეიძლება მიღწეულ იქნეს არა ერთბაშად, დაკვრითი წესით, — არამედ სკოლის მუშაკების მხრით ხანგრძლივი, დაძაბული, დაუღალავი მუშაობით და მოზარდი თაობის აღზრდის საქმის ღრმა სიყვარულის შედეგად, **ვბრძანებ:**

§—1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების დირექტორებმა (ვამგეებმა) მოსწავლეთა მიერ წესების საუკეთესოდ ცოდნის მისაღწევად და ამ წესების მტკიცე ჩვევებად გადაქცევის მიზნით:

ა) თვალსაჩინოდ, გასაგებად, შესაფერი მაგალითების საფუძველზე მისცენ განმარტებანი მოსწავლეებს წესების ცალკე მუხლების მნიშვნელობის შესახებ და ჩანერგონ ბავშვებში შეგნება, რომ ამ წესების უნაკლოდ შესრულების გარეშე ისინი შეუძლებელია გახდნენ მცოდნე და კულტურული, შრომისუნარიანი, ხალხისათვის თავდადებული და მისი ინტერესებისათვის შეგნებულად მებრძოლი, ჩვენი ქვეყნის ღირსეული და სასახელო ადამიანები.

ბ) უმცროსი კლასების მოსწავლეებს წესები გააცნონ თანდათანობით: მოუთხრონ მათ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქცეოდნენ ისინი სკოლაში, ოჯახში, ქუჩასა და საზოგადოებრივ საკრებულო ადგილებში, როგორ უნდა ეპყრობოდნენ მოხუცებულებს, მათზე უფრო პატარებს, ფიზიკურად სუსტებს, საკუთარ ამხანაგებს და სხვა.

გ) უმცროსი კლასების მოსწავლეებს ყოველ გაკვეთილზე მოსთხოვონ წესების ისეთი მუხლების მტკიცედ შესრულება, როგორიცაა — მისალმება, ხელის აწევა პასუხისათვის, წესიერად დგომა პასუხის გაცემის დროს და სხვ. და მათი სათანადოდ შეთვისების მიზნით საჭიროების შემთხვევაში ჩაატარონ მოსწავლეებთან პრაქტიკული ვარჯიშობანი.

დ) ზუსტად დაიცვან სასკოლო რეჟიმი და განამტკიცონ შრომის დისციპლინა, დაწესებული დროის მიხედვით დაიწყონ და დაამთავრონ მეცადინეობა. სუფთად იქონიონ სკოლის ყველა ჯუნჭული; თავის ადგილი მიუჩინონ სკოლაში ყველა ნივთს; მიიღონ წინასწარი გამაფრთხილებელი ღონისძიებანი, რათა სკოლის შინაგანაწესი განუხრელად ტარდებოდეს.

ე) მტკიცე და მაღალი მოთხოვნები წაუყენოს მოსწავლეებს, მიაღწიონ იმას, რომ მომზადებულად და თვალსაჩინოდ ჩატარდეს თითოეული გაკვეთილი, სისტემატურად და ობიექტურად შემოწმდეს მოსწავლეთა ცოდნა, გულდასმით და თავის დროზე გასწორდეს წერითი ნამუ-

შევრები, მოსწავლეებს გარკვეული საშინაო დავალებები ეძლეოდეს — და იმგვარად ხდებოდეს მათი დატვირთვა, რომ არ რჩებოდეთ თავისუფალი დრო უქმად ყოფნისათვის, ქუჩაში ხეტიალისათვის.

ვ) მოსწავლეებისადმი მიდგომის დარგში დაამყარონ მტკიცე ერთიანობა. მკაცრი მოთხოვნა წაუყენონ მოსწავლეებს წესების შესრულების საქმეში, წესების დარღვევის არც ერთი წვრილმანი შემთხვევა არ დასტოვონ ყურადღების გარეშე და წესების დამრღვევთა მიმართ გამოიყენონ მოსწავლეთა დასჯისა და წახალისების შესახებ არსებული მითითებებით გათვალისწინებული სათანადო ზომები.

ზ) გააძლიერონ მასწავლებელთა მეთვალყურეობა უდისციპლინო მოსწავლეთა მიმართ, საფუძვლიანად შეისწავლონ მათი ყოფა-ცხოვრება, სწავლის პირობები, ინდივიდუალური თავისებურებანი, მიდრეკილება, განწყობილებანი. მათი გამოსწორებისათვის გამოიყენონ პედაგოგიური ზემოქმედების ყველა საჭირო საშუალებანი და გადაჭრით აღკვეთონ უდისციპლინობის შემთხვევები.

თ) მიაღწიონ იმას, რომ მოსწავლეები დაუგვიანებლივ ცხადდებოდნენ სკოლაში, გაკვეთილებზე ყურადღებით უსმენდნენ მასწავლებლებს და მოსწავლე ამხანაგების პასუხებს, ბეჯითად მუშაობდნენ, თავის დროზე, წესიერად და დამოუკიდებლად ასრულებდნენ საშინაო დავალებებს.

ი) უზრუნველჰყონ საკლასო ჟურნალებში გაკვეთილებზე მოსწავლეთა დასწრების ყოველდღიური ზუსტი აღრიცხვის წარმოება და შეფასების ნიშნების ჩაწერა. მოსწავლეები, რომლებიც დაიგვიანებენ გაკვეთილზე, დაშვებულნი უნდა იქნენ კლასში მხოლოდ დირექტორის (გამგის) ან მისი შემცვლელი პირის ნებართვით.

კ) მეცადინეობის გაცდენის შემთხვევაში მოსწავლეს მოსთხოვონ ცნობა გაცდენის შესახებ. სასწავლო მეცადინეობის გაცდენის საპატიო მიზეზად მხოლოდ მოსწავლის ავადმყოფობა, ოჯახში ინფექციური დაავადებანი, მძიმე ავადმყოფი ოჯახის წევრის მოვლა და სამიმოსვლო საშუალებათა შეწყვეტა ჩასთვალონ.

გაკვეთილის უმიზეზოდ თუნდაც ერთხელ გაცდენისათვისაც კი დაადგან მოსწავლეს სათანადო სასჯელი.

ლ) განუმარტონ მოსწავლეებს და მათ მშობლებს, რომ მეცადინეობის გაცდენის შემთხვევაში მოსწავლე ვალდებულია გაიგოს მასწავ-

ლებლის მიერ კლასისათვის მიცემული სასწავლო დავალება დროულად შეასრულოს იგი.

მ) მოაწესრიგონ მასწავლებელთა და მოსწავლეთა მორიგეობა სკოლაში დასვენების დროს; დააწესონ ზედამხედველობა მოსწავლეებზე სწავლის დაწყებამდე, დასვენების პროცესში მოაწყონ მათთან თავისუფალი მოძრავი თამაში, საინტერესო ამბების თხრობა, საუბრები — კარგ ამინდში სასკოლო მოედანზე, ხოლო ცუდი ამინდის პირობებში — დერეფნებსა და დარბაზებში; დასვენების ჩატარების დროს აღკვეთონ ხმაურობა და ღრიანცელი.

ნ) განუმარტონ მოსწავლეებს სისუფთავის დაცვის აუცილებლობა სკოლასა და ოჯახში. სკოლის ექიმის საშუალებით მოსწავლეთა შორის ხშირად ჩაატარონ საუბრები იმის შესახებ, თუ რა ზიანი მოაქვს ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსუფთაობას და გაატარონ ყველა გამაფრთხილებელი ღონისძიებანი, როგორც მოსწავლის პირადი ჰიგიენის, აგრეთვე სკოლაში სისუფთავის დაცვის უზრუნველსაყოფად.

ო) სისტემატურად მოაწყონ მოსწავლეთა შორის საუბრები ქუჩებში მოძრაობის წესების დაცვის შესახებ, საუბრების მასალად გამოიყენონ შესაფერი მოთხრობები და ლექსები; მკაფიო მაგალითებზე უჩვენონ მოსწავლეებს, თუ რა საზიანო და სამწუხარო შედეგები მოსდევს თან ქუჩაში მოძრაობის წესების დარღვევას.

პ) სათანადო ყურადღება მიაქცევონ კლასგარეშე მუშაობას. ფართოდ გაშალონ კლასგარეშე კითხვა. ზუსტად განსაზღვრონ წრეების მუშაობის დრო და ხანგრძლივობა, მტკიცედ დაიცვან იგი და არ დაუშვან ბავშვთა გადატვირთვა.

განუხრელად განახორციელონ საქართველოს სსრ განსახკომის 1944 წლის 9 თებერვლის ბრძანება „კინო-სურათებსა, თეატრების სპექტაკლებსა, კონცერტებსა და სხვა სანახაობებზე 16 წლისა ასაკამდე მოსწავლეთა დასწრების წესის შესახებ“.

ჟ) დაამყარონ ურთიერთობა სკოლის გარეშე და დაწესებულებებთან (ბავშვთა ტექნიკურ სადგურებთან, კლუბებთან, პარკებთან), ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ამ დაწესებულებების სათანადო წრეებში მოსწავლეთა ჩაბმას მათი ნიჭისა, მისწრაფებებისა და უნარის მიხედვით, მაგრამ ისეთ მოსწავლეებს, რომლებიც ჩამორჩენილნი არიან სწავ-

ლაში და სისტემატურად ვერ ასრულებენ სკოლის დავალებებს, ანუ ძალონ წრეებში მუშაობა მანამ, სანამ არ გამოსწორდებიან.

რ) მჭიდრო კავშირი იქონიონ მოსწავლეთა მშობლებთან, საფუძვლიანად გააცნონ მათ მოსწავლეთა წესები; ცალკე კლასების მიხედვით თვეში ერთხელ მაინც მოიწვიონ მშობელთა კრება, განიხილონ მათთან მოსწავლეთა მიერ საშინაო დავალებათა შესრულებისა და ამასთან დაკავშირებით ოჯახში ბავშვებზე ზედამხედველობის გაძლიერების საკითხები. დასახონ ამ მიმართულებით ღონისძიებანი და მათი შესრულების უზრუნველსაყოფად საქმიანი დახმარება აღმოუჩინონ მშობლებს.

ს) აღზრდის თეორიის საკითხების ღრმად დაუფლებისა და მოსწავლეთა წესების გატარების საქმეში საუკეთესო მიღწევების დანერგვის მიზნით, მოაწყონ პედაგოგიური ჟურნალ-გაზეთების კითხვა, მოხსენებანი, საუბრები და ამ მუშაობაში ყველა მასწავლებელი ჩააბან.

ტ) მტკიცე მოთხოვნები წაუყენონ მასწავლებლებს მოსწავლეთა წესების პრაქტიკულად დანერგვის დარგში მათზე დაკისრებული მოვალეობის შესრულების საქმეში, დააწესონ მათ მუშაობაზე ყოველდღიური კონტროლი და გაზარდონ და აამაღლონ მასწავლებელთა პასუხისმგებლობა ამ მხრივ.

უ) მოისმინონ პედსაბჭოს სხდომებზე კლასის ხელმძღვანელთა და მასწავლებლების თვითანგარიში წესების დანერგვის შესახებ და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი ამ დარგში შემჩნეული დეფექტების გამოსასწორებლად.

§—2.

დაევალოს განათლების განყოფილებათა გამგეებს:

ა) ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ სკოლებს მოსწავლეთა წესების გატარების დროს წამოჭრილი სიძნელეების გადალახვის საქმეში, გამოავლინონ წესების გატარების მხრივ მოწინავე სკოლები, დირექტორები, სასწავლო ნაწილის გამგეები და მასწავლებლები და ფართოდ დანერგონ მათი გამოცდილება.

ბ) პედაგოგიური კაბინეტების მეთოდისტებისა და მოწინავე მასწავლებელთა მეშვეობით მოაწყონ სკოლის მუშაკთათვის, — განსაკუთრებით ახლად დამწყებ მასწავლებელთათვის, კონსულტაციები, საუბრები, მოხსენებანი მოსწავლეთა წესების გატარების შესახებ, გააცნონ მასწავ-

ლებლებს მოწინავეთა გამოცდილება და პრაქტიკული დახმარება გაუწიონ, მოუჩინონ მათ, რათა ეს გამოცდილება გადატანილი და დანერგილი იქნეს სასკოლო მუშაობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) მკაცრი კონტროლი დააწესონ სკოლების მუშაობაზე და გაზარდონ სკოლის მუშაკთა პასუხისმგებლობა მოსწავლეთა წესების პრაქტიკულად დანერგვის დარგში; იმ დირექტორებს, სასწავლო ნაწილის გამგეებსა და მასწავლებლებს, რომლებიც იჩენენ უმოქმედობას სკოლაში მოსწავლეთა წესების გატარების საქმეში, დაადვან სათანადო სასჯელი.

დ) განსახკომის წინაშე დასვან საკითხი იმ დირექტორებისა, სასწავლო ნაწილის გამგეებისა და მასწავლებლების მოხსნის შესახებ, რომლებიც მიცემული მითითებებისა და დადებული სასჯელის შემდეგაც არ გამოსწორდებიან, თავს ვერ ართმევენ მუშაობას და სკოლაში დისციპლინის განმტკიცების საქმეს უდარდელად ეკიდებიან.

§—3.

დაევალოს ქ. თბილისის ამხანაგ ბერიას სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის, პიონერთა და მოსწავლეთა სახლების, კლუბებისა, ბავშვთა ტექნიკური სადგურებისა და სკოლის გარეშე მუშაობის სხვა დაწესებულებათა დირექტორებს, იმგვარად წარმართონ საქმე, რომ ბავშვთა შორის მუშაობა ამ დაწესებულებებში ხელს უწყობდეს მოსწავლეებში წესების კიდევ უფრო ღრმად დანერგვასა და განმტკიცებას, რისთვისაც:

ა) საფუძვლიანად გააცნონ მოსწავლეთა წესები სკოლის გარეშე დაწესებულებათა მუშაკებს (კაბინეტის სექტორებს გამგეებს, წრეების ხელმძღვანელებსა და სხვა) და მისცენ მათ განმარტებანი ამ წესების განუხრელად გატარების დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის შესახებ.

ბ) მტკიცედ დაიცვან სკოლის გარეშე დაწესებულებებისათვის დადგენილი რეჟიმი, სრული წესრიგი და სისუფთავე დაამყარონ კაბინეტებში, სახელოსნოებში, დარბაზებში, დერეფნებში; ზუსტად დაწესებულ დროს აწარმოონ საწრთო მუშაობა და არ დაუშვან ბავშვთა გადატვირთვა.

გ) მჭიდრო კავშირი იქონიონ დაწყებით, არასრულ საშუალო და

საშუალო სკოლებთან და სკოლის გარეშე დაწესებულებების მუშაობაში ფართოდ ჩააბან გამოცდილი პედაგოგები.

დ) დარაზმონ სკოლის გარეშე დაწესებულებების ყველა მუშაკი, ერთიანი მოთხოვნები წაუყენონ ბავშვებს და უზრუნველჰყონ სკოლის გარეთ ბავშვთა ქცევის შესახებ წესებში მოცემული მუხლების ზუსტად განხორციელება.

§—4.

დაევალოს დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველოს:

ა) არასრულ საშუალო და საშუალო სკოლების მე-5—10 კლასების მოსწავლეთათვის გამოსცეს „მოსწავლეთა ბილეთი" ქართულ და რუსულ ენებზე და პირველ რიგში ამ ბილეთებით დააკმაყოფილოს ქ. თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და სოხუმის სკოლები.

ბ) საჭირო რაოდენობით დაბეჭდოს ქართულ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე მოსწავლეთა წარმატების მოწმობები, რომელთა მეოთხე გვერდზე მოათავსოს „წესები მოსწავლეთათვის".

გ) მოსწავლეთა წესების დაბეჭდვა მომავალში აწარმოოს აგრეთვე რვეულების უკანა გარეკანზედაც.

დ) სისტემატურად შეისწავლოს ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობა სკოლებში და მიიღოს საჭირო ზომები ამ დარგში არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

§—5.

პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტმა დაამუშაოს და გამოსცეს მეთოდური ხასიათის წერილების სერია მოსწავლეთა წესების პრაქტიკულად განხორციელების საკითხებზე. შეადგინოს და გამოსცეს აგრეთვე მონოგრაფიები მოსწავლეთა წესების გატარების დარგში საუკეთესო სკოლისა და მასწავლებლის მუშაობის შესახებ.

§—6.

მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა რაიონებსა და ქალაქებში მასწავლებელთათვის მოაწყოს საუბრები, ლექციები, კონსულტაციები მოსწავლეთა წესების შესახებ და ადგილებზე მასწავლებლებს გაუწიოს დახმარება წესების პრაქტიკულად გატარების საქმეში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

§—7.

დაევალოს საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობის დირექტორს შეარჩიოს და გამოსცეს ბავშვთათვის ისეთი პატარა მოთხრობები, პოემები და ლექსები, რომლებიც:

ა) გააძლიერებენ მოსწავლეებში სწავლისადმი სიყვარულსა და ინტერესს;

ბ) აღძრავენ მათში სამშობლოსადმი თავდადების, სოციალისტური ქონებისადმი შეგნებული დამოკიდებულების, მეგობრობის, პატარა ბავშვებისადმი მზრუნველობისა და მოხუცებისა, ავადმყოფებისა, ფიზიკური დეფექტის მქონე ადამიანებისადმი თავაზიანი დამოკიდებულების გრძნობებს;

გ) ხელს შეუწყობენ მოსწავლეებში ქუჩაში მოძრაობის წესების დაცვისა და საკრებულო ადგილებში წესიერად ქცევის სათანადო ჩვევის გამომუშავებასა და განმტკიცებას.

§—8.

წინადადება მიეცეს განათლების განყოფილების გამგეებსა და სკოლის დირექტორებს (გამგეებს):

ა) აწლის 1 აპრილამდე უზრუნველჰყონ ამ ბრძანების ყოველმხრივი გაცნობა მასწავლებელთათვის.

ბ) ამავე ვადაში ამ ბრძანების შესაბამისად გამოარკვიონ სკოლებში არსებული მდგომარეობა; ყველა დაწყებით, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლების პედაგოგიური საბჭოს სპეციალურ სხდომაზე განიხილონ საკითხი მოსწავლეთა წესების გატარების შესახებ და დასახონ სათანადო ღონისძიებანი.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განსახკომების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონული და საქალაქო განათლების განყოფილებათა (1944 წლის 10 მარტის) რესპუბლიკური თათბირისა და საქართველოს სსრ განსახკომის კოლეგიის (1944 წლის 18 მარტის) დადგენილებანი.

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი ბ. კიკნაძე

„ვამტკიცებ"

საქართველოს სსრ განათლების სახალხო

კომისარი გ. კიკნაძე

1944 წლის 18 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ ი თ ი თ ე ბ ა ნ ი

მოსწავლეთა დასჯისა და წახალისების ღონისძიებათა შესახებ

1. ზოგადი ნაწილი.

1. მოზარდი თაობის აღზრდის ამოცანათა წარმატებით განხორციელების ძირითად პირობას სკოლაში დადებითი ხასიათის მორალური ზეგავლენის სწორად გატარებული ღონისძიებანი წარმოადგენენ. მცოდნე და კულტურული, სამართლიანობისათვის მებრძოლი, სამშობლოსათვის თავდადებული, მტკიცე ნებისყოფის მქონე, გამრჯე და შრომისმოყვარე თაობის აღზრდისათვის აუცილებელია:

ა) მასწავლებელი საუკეთესოდ იყოს დაუფლებული საგანსა და მისი სწავლების მეთოდებს, მომზადებულად და თვალსაჩინოდ ატარებდეს ყოველ გაკვეთილს, იყოს დისციპლინიანი და ზუსტი, მოსწავლეებს უყენებდეს მკაცრ, მაგრამ სამართლიან მოთხოვნებს, უყვარდეს ბავშვები, გულისხმიერად ეპყრობოდეს მათ და გააჩნდეს იმის უნარი, რომ ჩაწვდეს და გაიგოს თითოეული ბავშვის ხასიათის თავისებურებანი.

ბ) მტკიცე და უცვლელი იყოს სკოლის რეჟიმი, მეცადინეობა ყოველთვის იწყებოდეს და მთავრდებოდეს დაწესებულ დროს, სკოლის ყველა მუშაკმა ზუსტად იცოდეს თავისი მოვალეობა და განუხრელად, კეთილსინდისიერად ასრულებდეს მას, დროულად და უნაკლოდ ხორციელდებოდეს სკოლის შინაგანაწესის ყველა მუხლი.

გ) სასწავლო დისციპლინების სწავლებისას განსაკუთრებული ყუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადღება ექცეოდეს აღმზრდელობითი მუშაობას: სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებულ თითოეულ დებულებას და ფაქტს მასწავლებელი შეგნებულად და გააზრებულად ასწავლიდეს, შესასწავლ მასალას მოხერხებულად უკავშირებდეს ცხოვრებას, თანადროულობას და იყენებდეს მას საბჭოთა ადამიანებისათვის საჭირო გრძნობებისა და თვისებების აღზრდისათვის.

დ) სწორად იყოს მოწესრიგებული საზოგადოებრივი სასარგებლო შრომა, როგორც აღზრდის ერთ-ერთი მთავარი საშუალება, სათანადო ყურადღება ექცეოდეს ბავშვთა ნორმალურად დატვირთვის საქმეს სკოლასა და ოჯახში და მოსწავლის გონებრივსა და ფიზიკურ შრომას მოხერხებულად უფარდებდნენ გართობასა და დასვენებას.

ე) სკოლასა და ოჯახს შორის დამყარებული იყოს ისეთი მტკიცე ურთიერთობა, რომ ოჯახი ხელს უწყობდეს სკოლას, რათა მოსწავლემ სკოლის მიერ მიცემული დავალებანი წესიერად, ზუსტად და დროულად შეასრულოს და თავისი მხრივ, სკოლა სისტემატურად ეხმარებოდეს და ხელმძღვანელობდეს ოჯახს იმ მიზნით, რომ შესაფერ სიმაღლეზე იქნეს დაყენებული ბავშვის აღზრდა ოჯახში.

2. მაგრამ ისეთ სკოლაშიაც კი, სადაც მასწავლებლობა მოწოდების სიმაღლეზე დგას და თანამიმდევრულად ხორციელდება დადებითი მორალური ხასიათის ზეგავლენის ზომები, ყოველი მოსწავლის შესაფერად აღზრდა მარტო სკოლის განკარგულებაში არსებული ამ დადებითი ხასიათის საშუალებებით შეუძლებელი იქნება. ამის გამო იმ მოსწავლეთა მიმართ, რომელთა აღზრდისათვის საკმაო არ აღმოჩნდება დადებითი ხასიათის ღონისძიებანი, მათი გამოსწორების მიზნით გამოყენებული უნდა იქნეს ამ მითითებით დაწესებული დასჯის ზომები.

II. დასჯის ზომები სკოლაში.

იმ მიზნით, რათა სასჯელმა შესაფერი შედეგი გამოიღოს, — საჭირო აღმზრდელობითი ზეგავლენა მოახდინოს მოსწავლეებზე და ნამდვილად შეუწყოს ხელი მის გამოსწორებას, დასჯის ზომების პრაქტიკულად გამოყენების დროს, სკოლა ზუსტად უნდა ხელმძღვანელობდეს შემდეგი მთავარი პედაგოგიური პრინციპებით:

1. საბჭოთა სკოლაში დასჯა მიზნად ისახავს რა მოსწავლის გამოსწორებას, დადებითი სასჯელი, როგორიც მკაცრი უნდა იყოს იგი, იმგვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად უნდა იქნეს გამოყენებული, რომ მოსწავლეში იწვევდეს არა მხოლოდ
რისძიებისა და სასოწარკვეთილების გრძნობას, არამედ სინანულს ჩადენილი დანაშაულის გამო და ამასთან ერთად გამოსწორების სურვილსა და რწმენას, რომ იგი შესძლებს თავის ყოფაქცევის გაუმჯობესებას.

2. რადგან სკოლაში მოსწავლეთა მიერ ჩადენილი დანაშაული მრავალი სახით ვლინდება, სასჯელის ამომწურავი და სრულყოფილი ზომები არ შეიძლება არსებობდნენ. ამის გამო, დაუშვებელია მითითებით დაწესებული დასჯის ზომები შიშვლად, მექანიკურად იქნეს გამოყენებული.

სასჯელის დადება უნდა ხდებოდეს მოსწავლეებისადმი ინდივიდუალურად მიდგომის პრინციპის საფუძველზე, — გათვალისწინებული უნდა იქნეს: მოსწავლის ასაკი, მისი ყოფაქცევა დანაშაულის ჩადენამდე, პირველად არის ჩადენილი დანაშაული თუ მეორედ; შემთხვევითია იგი, თუ წინასწარ განზრახვის ხასიათს ატარებს; რა შედეგი მოჰყვა დანაშაულს; აქვს თუ არა ადგილი დანაშაულის აღიარებას, თუ დაფარა იგი მოსწავლემ.

ამის გარეშე დასჯა ფორმალურ ხასიათს მიიღებს და იგი მოსწავლის გამოსწორებას ხელს ვერ შეუწყობს.

3. დასჯის ზომების გამოყენებისას სკოლის დირექტორი (გამგე) მისი მოადგილენი, კლასის ხელმძღვანელები და მასწავლებლები უნდა იყვნენ რა პირუთვნელნი და სამართლიანი, ამასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღებას უნდა აქცევდნენ იმას, რომ დასჯის შედეგად მოსწავლე დაცინვისა და აბუჩად აგდების ობიექტი არ გახდეს. მაგრამ ყოველგვარ სასჯელს, თუნდაც მცირესაც კი, სერიოზული მნიშვნელობა უნდა მიეცეს, რადგან სასჯელი მოსწავლეზე მხოლოდ იმ შემთხვევაში მოახდენს გავლენას, როცა იგი წინასწარ მოფიქრებულია, სამართლიანია; არა ხშირად, არამედ მხოლოდ საჭირო შემთხვევაშია გამოყენებული და თანაც სისრულეშია მოყვანილი.

4. მოსწავლის დასჯა იმგვარად უნდა ხდებოდეს, რომ ოითოეული მოსწავლის მიმართ გამოყენებული სასჯელი გამაფრთხილებელ საშუალებას წარმოადგენდეს სხვა მოსწავლეებისათვის.

სასჯელის სისრულეში მოყვანის შემდეგ მისი შედეგები აუცილებლად უნდა მოწმობდეს და სასჯელდადებული მოსწავლის გამოსწორე-

ბის ყოველი ფაქტი ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული სხვა მოსწავლეთა ყოფაქცევის გამოსწორებისათვის.

5. დირექტორი (გამგე), სასწავლო ნაწილის გამგე, ყველა მასწავლებელი — ერთიანად, მტკიცე, ურყევ მოთხოვნებს უნდა უყენებდნენ მოსწავლეებს.

ამასთან ერთად მოსწავლეთადმი ერთიანი მიდგომის ხაზის განუხრელად გატარებისათვის აქტიურ ღონისძიებებს უნდა ახორციელებდნენ პედაგოგიური საბჭო და მშობელთა დამხმარე კომიტეტები.

III. დასჯის ზომები და მათი პრაქტიკულად გამოყენება.

1. მასწავლებლებსა და კლასის ხელმძღვანელებს შეუძლიათ გამოიყენონ დასჯის შემდეგი ზომები:

ა) სიტყვიერი გაფრთხილება,

ბ) წერილობითი გაფრთხილება (მოსწავლეთა დღიურში ან საკლასო ჟურნალში შეტანით),

გ) საყვედურის გამოცხადება კლასში,

დ) მოსწავლის გაძევება კლასიდან, თუ ის ხელს უშლის მუშაობას და მიცემულმა შენიშვნამ შედეგი არ გამოიღო.

ამას გარდა, სამხედრო საგნის მასწავლებელს უფლება აქვს დისციპლინის დამრღვევ მოსწავლეებს გამოუცხადოს საყვედური წყობილებაში.

2. სკოლის სასწავლო ნაწილის გამგესა და სამხედრო ხელმძღვანელს უფლება აქვთ გამოიყენონ დასჯის შემდეგი ზომები:

ა) სიტყვიერი გაფრთხილება,

ბ) წერილობითი გაფრთხილება (მოსწავლის დღიურში ან საკლასო ჟურნალში შეტანით,

გ) საყვედურის გამოცხადება კლასში,

ე) პირადი საყვედურის გამოცხადება,

ვ) მოსწავლის გაძევება კლასიდან, თუ ის ხელს უშლის მუშაობას და მიცემულმა შენიშვნამ შედეგი არ გამოიღო.

ზ) გაფრთხილება სკოლიდან გარიცხვის შესახებ.

ამას გარდა, სამხედრო ხელმძღვანელს უფლება აქვს დისციპლინის დამრღვევ მოსწავლეს წყობილებაში გამოუცხადოს საყვედური და აგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეთვე დაუნიშნოს რიგ გარემე გუშაგობა (იქ, სადაც გუშაგობა გაუქმებულია კომის მიერ ნებადართულია) იმის მიხედვით, თუ როგორია დანაშაულის ხასიათი.

3. სკოლის დირექტორს (გამგეს) შეუძლია გამოიყენოს დასჯის შემდეგი ზომები:

ა) სიტყვიერი გაფრთხილება,

ბ) წერილობითი გაფრთხილება (მოსწავლის დღიურში ან საკლასო ჟურნალში შეტანით),

გ) პირადი საყვედური,

დ) საყვედური მოსწავლეთა კრების წინაშე,

ე) საყვედური ბრძანებით გამოცხადებით,

ვ) განაწესის დანიშვნა,

ზ) ყოფაქცევის მეოთხედური შეფასების ნიშნის დაკლება (პედაგოგიური საბჭოს დადგენილებით),

თ) გაფრთხილება სკოლიდან გამორიცხვის შესახებ,

ი) სკოლიდან გარიცხვა, როგორც უკანასკნელი ზომა, რაც პედაგოგიური საბჭოს დადგენილებისა და განათლების განყოფილების დასტურის შემდეგ შედის ძალაში.

4. სასჯელის ზევით დასახელებულ ზომებთან ერთად, სკოლას უფლება აქვს გამოიყენოს აგრეთვე ისეთი ზომებიც, როგორიც არის, — მოსწავლეთა მშობლის გამოძახება სკოლაში, მოსწავლის დატოვება გაკვეთილების შემდეგ სკოლაში სასწავლო დავალებათა შესასრულებლად, მოსწავლის გადაყვანა სხვა, პარალელურ კლასში, მოსწავლის გადაყვანა სხვა სკოლაში.

ეს ზომები შემდეგი წესით უნდა იქნეს განხორციელებული:

ა) სწავლაში მოსწავლის ჩამორჩენისა და დისციპლინის დარღვევის შემთხვევაში გაფრთხილების მიზნით სკოლაში მშობლის გამოძახების უფლება აქვთ სასწავლო ნაწილის გამგეს, სამხედრო ხელმძღვანელსა და კლასის ხელმძღვანელს; სკოლაში მშობლის გამოძახების საკითხი შეთანხმებული უნდა იქნეს დირექტორთან (გამგესთან).

ბ) იმ საშინაო დავალების შესასრულებლად, რომელიც მზად არ ჰქონდა მოსწავლეს გაკვეთილზე, დირექტორთან ან სასწავლო ნაწილის გამგესთან შეთანხმებით, კლასის ხელმძღვანელს უფლება აქვს გაკვეთილების დამთავრების შემდეგ სკოლაში დასტოვოს მე-3 და მე-4 კლასის

მოსწავლე არა უმეტეს ერთი საათის ვადით, ხოლო მე-5—10 კლასის მოსწავლე არაუმეტეს ორი საათის ვადით; გაკვეთილების შემდეგ კლასში მოსწავლის დატოვება მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა იქნეს ნებადართული, როცა არსებობს საშუალება მოსწავლესთან ერთად სკოლაში მასწავლებელიც იყოს და მეთვალყურეობა გაუწიოს მას დავალების შესრულებაში.

გ) მოსწავლის პარალელურ კლასში გადაყვანა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იქნეს დაშვებული, თუ ეს ნამდვილად შეუწყობს ხელს მის გამოსწორებას; მოსწავლის პარალელურ კლასში გადაყვანა სწარმოებს დირექტორის (გამგის) ბრძანებით პედაგოგიური საბჭოს დადგენილების საფუძველზე.

დ) ამგვარადვე, სხვა სკოლაში მოსწავლე მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა იქნეს გადაყვანილი, როცა საკმაო საფუძველი არსებობს, რომ ეს ზომა მოსწავლეს გამოასწორებს; სხვა სკოლაში მოსწავლის გადაყვანა ხდება პედაგოგიური საბჭოს სპეციალური დადგენილების საფუძველზე, რომელიც ძალაში შედის ქალაქისა და რაიონის განათლების განყოფილების, ქ. თბილისში კი მხოლოდ საქალაქო განათლების განყოფილების, დასტურის შემდეგ.

5. დასჯის ზომა უნდა შეესაბამებოდეს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს:

ა) გაკვეთილზე უყურადღებობისა, გარეშე საუბრებისა, ტანსაცმლის უსუფთაობისა, თავისი ნივთების დაუდევრად მოხმარისა და სხვა მსგავს შემთხვევებში,— როცა ეს დანაშაული პირველადაა ჩადენილი, — საკმარისია მოსწავლეს მიეცეს უბრალო შენიშვნა.

ბ) არასაპატიო მიზეზით გაკვეთილის გამოტოვებისა, სასწავლო ნივთების გაფუჭებისა, გაკვეთილზე ხშირი დაგვიანებისა და სხვა მსგავს შემთხვევებში მოსწავლეს შეიძლება გამოეცხადოს საყვედური.

გ) მეცადინეობიდან უნებართვოდ წასვლისა, სასწავლო ქონების გაფუჭებისა, უფროსებისადმი უხეში დამოკიდებულებისა და სხვა მსგავსი დანაშაულის ჩამდენი მოსწავლის საკითხი განხილული უნდა იქნეს პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე და შეიძლება მას დაეწიოს შეფასების ნიშანი ყოფაქცევაში.

დ) სკოლის ადმინისტრაციის ან მასწავლებლის განკარგულებათა სისტემატური დარღვევისა, უფროსების აბუჩად აგდებისა და სუსტების

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაცინვისათვის, დასაშვებია მაშინვე იქნეს მიღებული ისეთი ზომა, როგორიცაა — გაფრთხილება სკოლიდან გარიცხვის შესახებ, და თუ მოსწავლე არ გამოსწორდა, — სკოლიდან გარიცხვაც ჰი.

ე) ისეთი დანაშაულის ჩადენისათვის, როგორიცაა — მოსწავლის მიერ მაგარი სასმელების სმა და სკოლაში არაფხიზელ მდგომარეობაში გამოცხადება, იმთავითვე შეიძლება გამოყენებული იქნეს სასჯელის უმაღლესი ზომა, — სკოლიდან გარიცხვა.

ვ) პედაგოგიური პერსონალის შეურაცყოფისა და ხულიგნური მოქმედებისათვის: ბავშვების ცემა, უზრდელად მოქმედება ქუჩაში და საზოგადოებრივ ადგილებში, — რაც შეურაცყოფს საბჭოთა სკოლის ღირსებას, საზოგადოებრივი ქონების ბოროტი განზრახვით გაფუჭებისა ან მტაცებლობისათვის, მოსწავლის სკოლიდან გარიცხვის ზომა უნდა იქნეს გამოყენებული.

6. იმ შემთხვევაში, როცა ეს მოსახერხებელია და სათანადო შედეგებსაც იძლევა, სასურველია, გამოყენებული იქნეს დასჯის ასეთი ზომები: მორიგეობის ცუდად შესრულებისათვის — მოსწავლეთათვის საზოგადოებრივი დავალებების შესრულების უფლების დროებით ჩამორთმევა; საშინაო დავალებათა შეუსრულებლობისათვის — გაკვეთილების შემდეგ სკოლაში დატოვება ამ დავალებათა შესასრულებლად; დასვრა-დანაგვიანებისათვის — დასუფთავება (თვით ამ მოსწავლის მიერ). სასკოლო მოწყობილობის გაფუჭებისათვის — მისი შეკეთება საკუთარი ძალით ან მატერიალური ზარალის ანაზღაურებით და ა. შ.

7. მოსწავლის ყოფაქცევის შეფასება სწარმოებს ნიშნებით: 5, 4 და 3. ნიშნის დაკლება ყოფაქცევაში წარმოადგენს მკაცრ სასჯელს და ხდება მხოლოდ პედაგოგიური საბჭოს დადგენილებით; ნიშანი იწერება წარმატების საღრიცხვო ფურცელში, რომელიც მოსწავლეს ეძლევა ყოველი მეოთხედის დამთავრებისას.

ყოფაქცევის ნიშნის დაკლება 3-მდე წარმოადგენს მოსწავლის უკანასკნელ გაფრთხილებას, რომ ის გარიცხული იქნება სკოლიდან, თუ გარკვეული დროის განმავლობაში არ გამოასწორებს თავის ნიშანს ყოფაქცევაში.

გამოუსწორებლობის შემთხვევაში მოსწავლის სკოლაში დატოვების შესაძლებლობის საკითხს იხილავს პედაგოგიური საბჭო. მოსწავლეს

სკოლიდან გარიცხვისას ეწერება ყოფაქცევაში ნიშანი 2 და იგრიცხება სკოლიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პედსაბჭოს დადგენილებას მოსწავლის სკოლიდან გარიცხვის შესახებ ამტკიცებს რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილება.

8. ისეთი დანაშაულის შესახებ, რაც ატარებს კანონის დარღვევის ხასიათს და ისჯება სასამართლოს წესით, თუ დანაშაული ჩადენილია მოსწავლის მიერ 12 წლის ასაკის ზევით, უნდა ეცნობოს სამოქალაქო ხელისუფლების ორგანოებს.

9. ერთი დანაშაულისათვის გამოყენებული უნდა იქნეს დისციპლინალური სასჯელის მხოლოდ ერთი ზომა, ერთი და იგივე გამეორებული დანაშაულისათვის სასჯელი მატულობს. თუ მოსწავლე უნდა დაისაჯოს რამდენიმე დანაშაულისათვის, სასჯელი ზომა იქნება ერთი, მაგრამ მისი ხარისხი უნდა იყოს შეფარდებული მთლიანად აღებულ ყველა დანაშაულის სიმძიმესთან.

10. სკოლის დირექტორს (გამგეს) უფლება აქვს გაადიდოს სასჯელის ზომა—დადებული მოსწავლეზე მასწავლებლის ან სკოლის სხვა მუშაკის მიერ; დირექტორს (გამგეს) მოსწავლის გამოსწორების შემთხვევაში უფლება აქვს მოხსნას მას დადებული სასჯელი და ამის შესახებ სათანადო აღნიშვნა შეიტანოს მოსწავლის პირად საქმეში.

11. სასჯელის მკაცრი ზომების შესახებ მოსწავლის პირად საქმეში სისტემატურად უნდა იქნეს შეტანილი სათანადო აღნიშვნა. მოსწავლის პირად საქმეში წარმოებული ჩანაწერები მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მოსწავლის დახასიათების შედგენისას ყოველი სასწავლო წლის ბოლოს, მოსწავლის გამოშვებისას და აგრეთვე მისი სხვა სკოლაში გადაყვანისას.

12. სკოლის ადმინისტრაცია ვალდებულია დროულად აცნობოს მშობლებს ან მათ შემცვლელ პირებს მოსწავლის ყოფაქცევის შესახებ, აუწყოს მნიშვნელოვანი სასჯელის დადების ფაქტების შესახებ და გააფრთხილოს ისინი, რომ სკოლა მიიღებს მოსწავლის მიმართ მკაცრ ზომებს (ნიმნის დაკლება ყოფაქცევაში, გაფრთხილება სკოლიდან გარიცხვის შესახებ, სკოლიდან გარიცხვა), თუ იგი არ გამოსწორდება.

IV. წახალისების ზომები და მათი პრაქტიკულად გამოყენება.

1. წახალისების ზომები წარმოადგენენ პედაგოგიური ზეგავლენის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებას. მოფიქრებითა და სწორად გამო-

ყენებული წახალისება და ქება, როგორც აღზრდის ზომა, აღვივებს სწავლისადმი ინტერესს, აძლიერებს მოსწავლის პასუხისმგებლობას, მატებს ძალას ბავშვს კიდევ უფრო უკეთ ისწავლოს და სანიმუშო ყოფაქცევის მოსწავლე გახდეს.

2. წახალისების საფუძველზე მოსწავლისათვის მიცემული ჯილდო უნდა წარმოადგენდეს მოსწავლის კარგი ყოფაქცევისა და სკოლაში ბეჯითობის აღნიშვნის საშუალებას და არა მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის მიერ წინასწარ დაწესებულ პირობას: კარგად ისწავლე, კარგი ყოფაქცევისა იქნები — ჯილდოს მიიღებ.

3. წახალისება იმ შემთხვევაში მოგვცემს სასურველ შედეგს, როცა იგი გამოყენებულია არა უმნიშვნელო საბაბით, წარმოადგენს არა გაუმართლებელი გულუხვობის შედეგს, არამედ როცა მოსწავლე ნამდვილად დაიმსახურებს მას და ეს სამართლიანი, დამსახურებული ქება და წახალისება სხვებშიაც აღძრავს ამ მოსწავლისადმი მიბაძვის სურვილს.

4. წახალისების ზომები იმგვარად უნდა იქნეს გამოყენებული, რომ ცალკე მოსწავლის წახალისება სხვა მოსწავლეებშიაც აღვივებდეს სურვილს გახდნენ დაჯილდოებისა და ქების ღირსი და არ იწვევდეს მათში შურსა და წახალისებისადმი გულგრილ დამოკიდებულებას.

5. სწავლაში საუკეთესო წარმატებისა, ყოფაქცევისა და საზოგადოებრივ დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის თითოეული მოსწავლისა და მოსწავლეთა კოლექტივების მიმართ შეიძლება გამოყენებული იქნეს წახალისების შემდეგი ზომები:

ა) მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი, კ ლ ა ს ი ს ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ი და ს ა ს წ ა ვ ლ ო ნ ა წ ი ლ ი ს გამგე იყენებენ წახალისების ისეთ ზომებს, როგორიცაა — ქება მთელი კლასის წინაშე, დისციპლინარული სასჯელის მოხსნა (რომელიც მათ მიერვე ჰქონდა დადებული მოსწავლეს ან მოსწავლეთა კოლექტივს) და მოსწავლისათვის პასუხისაგები დავალების მიცემა.

სამხედრო ხელმძღვანელებსა და სამხედრო მასწავლებლებს, გარდა ამისა, შეუძლიათ მადლობა გამოუცხადონ მოსწავლეს წყობილების წინაშე.

ბ) სკოლის დირექტორი (გამგე) იყენებს წახალისების ისეთ ზომებს, როგორიცაა — ქებისა და მადლობის გამოცხადება კოლექტივის წინა-

44-38

შე; ქებისა და მადლობის გამოცხადება ბრძანებით, ფასეული ნივთით (წიგნით ან მოსწავლისათვის სასრგებლო ნივთით, თეატრის ბილეთით, ექსკურსიის საგზურით და ა. შ.); იმ მოსწავლეთა დასაჩუქრებას ქების სიგელით (პედაგოგიური საბჭოს დადგენილების საფუძველზე), რომლებმაც სასწავლო წელი დაასრულეს საუკეთესო წარმატებითა და წარჩინებული ყოფაქცევით.

6. მოსწავლეთა კოლექტივების მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს წახალისების შემდეგი ზომები:

ა) მოწონება, ქება პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე, საზოგადო კრებაზე, მშობელთა კრებაზე, სკოლის დირექტორის სათანადო ბრძანება.

ბ) კლასის, წრის დაჯილდოება (პედაგოგიური საბჭოს დადგენილებით), საჩუქრებით (თეატრებისა და კინოების ბილეთებით, ექსკურსიის საგზურებით და ა. შ.).

7. წახალისება ქების სახით შეიძლება გამოყენებული იქნეს იმ შემთხვევაშიაც, როცა მოსწავლეს ჯერ კიდევ არ მიულწევია საუკეთესო წარმატებისათვის, მაგრამ იჩენს დიდსა და გულწრფელ სურვილსა და ცდას გახდეს წარჩინებული.

8. მოსწავლის წახალისების ყველა მნიშვნელოვანი ფაქტი აღინიშნება მოსწავლის პირად საქმეში და ამის შესახებ ეცნობება მოსწავლის მშობლებს ან მათ შემცვლელ პირებს. ამასთანავე წახალისების შესახებ პირად საქმეში შეტანილი ფაქტები მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მოსწავლის დახასიათების შედგენისას.

ეს მითითებანი მოწონებულია აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განსახკომების, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონული და საქალაქო განათლების განყოფილებათა გამგეების 1944 წ. 10/III-ის რესპუბლიკური თათბირის მიერ და დამტკიცებულია საქართველოს სსრ განსახკომის კოლეგიის 1944 წლის 18 მარტის სხდომაზე.

საქართველოს სსრ განსახკომის დაწყებითი
და საშუალო სკოლის სამმართველოს უფროსი უშ. ოგოლაძე

პ/მგ. გამოშვებისათვის **უშ. ოგოლაძე**

ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/III—44. უე 01171. შეკვეთის № 508. ტირაჟი 3000.

საქ. სსრ სახელმწიფო გამომცემლობის სტამბა, ქ. თბილისი, ორჯონიკიძის ქ., № 50.